ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2014 წლის 14 აპრილი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატული აქტების“ შესახებ საქართველოს კანონის მე - 20 მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად,
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
შეტანილ იქნეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული დანართი № 2-ის მე-4 გრაფა ,,ზედამხედველობის სამსახური“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4) ზედამხედველობის სამსახური

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო
1	სამსახურის უფროსი	1000
2	განყოფილების უფროსი	810
3	მთავარი სპეციალისტი	560
4	წამყვანი სპეციალისტი	500
5	უფროსი სპეციალისტი	470
6	სპეციალისტი	450

მუხლი 2
დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კობა ძაგნიძე**